საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-213/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა

ქ. თბილისი 2020 წლის 7 აგვისტო

ოქმი №14

სხდომის ჩატარების ადგილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო)

სხდომას უძღვებოდა: თამილა ბარკალაია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გ. კაკაურიძე; ლ. დგებუაძე; ნ. ჩანადირი; თ. კალანდაძე; დ. მეტრეველი (ონლაინ); ე. მიქაბაძე; ზ. სანიკიძე; გ. ჭავჭავაძე; გ. ჩიღოშვილი

სამუშაო ჯგუფის სამდივნო: ნ. ველთაური;

კომისიის სამდივნო: ლ. კლიმიაშვილი

კომისიის შეხვედრის მიზანი - „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში პროგრამა) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

განსახილველი საკითხი - პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განაცხადებების განხილვა 229 151 დან – 252 693 -ს ჩათვლით. სამუშაო ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსების (დადებითი, უარყოფითი და განსახილველი) მიხედვით.

23 813 რეგისტრირებული პირი ჩაიშალა შემდეგი სტატუსებით, ესენია:

1. არაკომისიური - 568 (დანართი 1)
2. **კომისიური - 18 472 (დანართი 2)**
   2.1 უარყოფითი - 664
   2.2 დადებითი - 3 738
   2.3 დასაზუსტებელი - 1 472
   2.4 აქტიური (საზღვრის კვეთა) – 12 180
   2.5 გაუქმებული - 418 (200 ლარიანი კომპენსაციის მიმღები პირები)
3. სეზონური - 4 773 (დანართი 3)

მომხსენებელი, ნინო ველთაური - მისალმების შემდგომ მომხსენებელმა კომისიას განუმარტა, რომ 7 აგვსტოს სხდომით იხურება კომისიის საქმიანობა და წარუდგინა მოკლე სტატისტიკური ინფორმაცია კომპენსაციის გადარიცხვების თაობაზე. ასევე, აღნიშნა, რომ კომისიის დასრულების შემდგომ მომზადდება კომისიის საქმიანობი ანგარიში, რომელიც წარედგიმება საქართველოს მთავრობას. პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განცხადებების თაობაზე მომხსენებელმა კომისიას აცნობა, რომ წარმოდგენილი 23 813 განაცხადიდან პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, 3 738 განცხადებას მიენიჭა „დადებითი" სტატუსი, ვინაიდან მაძიებლებს დოკუმენტაცია სწორად ჰქონდათ ატვირთული და აკმაყოფილებდნენ ყველა მოთხოვნას. 664 განმცხადებელს, რომელთაც არ ჰქონდათ იურიდიული პირისგან გაცემული ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი - მიენიჭა „უარყოფითი" სტატუსი. სტატუსები განისაზღვრა დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და გასულ კომისიაზე განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

კომისიას ეცნობა, რომ აქტიური (საზღვრის კვეთა) სტატუსით წარმოდგენილი 12 180 პირი უახლოეს პერიოდში გადამოწმდება, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და ვისი მონაცემებიც მოერგება დადგენილ პირობებს, მათ გადაერიცხებათ შესაბამისი კომპენსაცია. ასევე, კომისიას წარედგინა ინფორმაცია 4 773 პირის შესახებ, რომლებმაც რეგისტრაციის პროცესში დააკმაყოფილეს პროგრამით გათვალისწინებული საზღვრის კვეთის კრიტერიუმები (დანართი 3).

კომისიას წარედგინა ინფორმაცია იმ პირებზე, რომლებმაც გადაინაცვლეს 200 ლარიან კომპენსაციის მიმღებ პირებად. შესაბამისად, რეგისტრირებულთა სიიდან გაუქმდა 418 განაცხადი.

კომისია ერთხმად დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის მიერ განაცხადებზე მინიჭებულ სტატუსებს. დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დაევალა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში „დადებითი" სტატუსის მქონე პირებისთვის კომპენსაციის ჩარიცხვის უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარე თამილა ბარკალაია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი კაკაურიძე
კომისიის წევრი	დავით მეტრეველი
კომისიის წევრი	თენგიზ კალანდაძე
კომისიის წევრი	ეკატერინე მიქაბაძე
კომისიის წევრი	ზურაბ სანიკიძე
კომისიის წევრი	ლევან დგებუაძე
კომისიის წევრი	ნიკოლოზ ჩანადირი
კომისიის წევრი	გიორგი ჭავჭავაძე
კომისიის წევრი	გელა ჩიღოშვილი
სამუშაო ჯგუფის სამდივნო	ნინო ველთაური
კომისიის მდივანი	ლიკა კლიმიაშვილი